ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია
Literature and Literary Theory

პიროვნული იდენტობის დეფორმაცია და ზნეობრივი გაორება ვაჟა-ფშაველას ,,ახუნდის“ მიხედვით

ნანა კუპრაძე
საქართველოს უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
e-mail: n.kupradze@ug.edu.ge
ORCID: 0009-0002-0913-3734
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.14
SJIF 2026: 8.679

ვაჟა-ფშაველას პოემა ,,ახუნდი“ ნაშრომში განხილულია პიროვნული იდენტობის დეფორმაციისა და ზნეობრივი გაორების ჭრილში. შევეცადეთ წარმოგვედგინა ადამიანის შინაგანი სამყაროსა და ღირებულებითი კონფლიქტის დაპირისპირება, რაც სცილდება გმირის ფსიქოლოგიური მდგომარეობის უბრალო აღწერასა და პირდაპირ ერწყმის ვაჟა-ფშაველას მსოფლხედველობრივ პრობლემატიკას.

სტატიაში წარმოდგენილია ახუნდის, როგორც საზოგადოებრივი იმიჯისა და რელიგიური ავტორიტეტის მქონე პირის, ადამიანური საზრისის რღვევა. შევეცადეთ გვეჩვენებინა შეუთავსებლობა საზოგადოებისათვის შექმნილ სახესა და პერსონაჟის შინაგან მისწრაფებებს შორის.

პოემაში პერსონაჟის მიერ სარწმუნეობრივი დოგმების უგულებელყოფა და ახუნდის ავაზაკად გარდასახვა იწვევს მისი რეპუტაციის შელახვას, სიწმინდის იდეალის გაქრობას. ეს მორალურ-ეთიკური დეგრადაცია არღვევს გმირის პიროვნულ მთლიანობას და იწვევს სულიერ მარცხს. ამავე დროს, ნაწარმოების კითხვისას იგრძნობა, რომ ასეთი ორმაგი სახის ტარება, ურთიერთგამომრიცხავი ნიღბის მორგება, სრულიად ბუნებრივია მისთვის.

ვაჟა-ფშაველას ხედვის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ტექსტში გამოყენებული გროტესკი უფრო მასშტაბური ხასიათისაა, განზოგადებულია, რადგან გვიჩვენებს არა მხოლოდ კონკრეტული პერსონჟის, არამედ საზოგადოებაში არსებული ყალბი ავტორიტეტების სახეებსაც.

სტატიაში განხილულია იდენტობის კრიზისის შრეები, რომელშიც ფარისევლობა წარმოდგენილია, როგორც პიროვნული იდენტობის რღვევის უმთავრესი სახე.

მწერლის მხატვრული მიზანი ეყრდნობა მკვეთრ ირონიასა და სატირულ ხედვას, რაც ამავე დროს, ააშკარავებს პესონაჟის ფასადურ კეთილშობილებასა და მის შინაგან სამყაროს შორის არსებულ სხვაობას.

პოემის ფინალურ ნაწილში შეჯამებულია გმირის ხასიათში არსებული განსხვავების დამანგრეველი შედეგები.

ნაშრომში შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ვაჟა-ფშაველას პოემა ,,ახუნდი“ მნიშვნელოვანია პიროვნების ბუნების კვლევის თვალსაზრისით, რადაგან ის გვიჩვენებს ადამიანის გაორების ურთულეს სურათს, რაც თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობით დისკურსში მეტად აქტუალურ საკითხს წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: ვაჟა-ფშაველა, პოემა ,,ახუნდი“, პიროვნული იდენტობა, ზნეობრივი გაორება

იდენტობა პიროვნების განუყოფელი მეობის აღმნიშვნელი ცნებაა, ერთგვარი კონცეფციაა, რომელიც ინდივიდის თვითმყოფადობას გამოხატავს. მისი შესწავლა თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობით სფეროში მეტად მრავალწახნაგოვანია და მოიცავს მხატვრულ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ შრეებს, რაც მოითხოვს ტექსტის სხვადასხვა ჭრილში განხილვას.

ადამიანის პიროვნული არსის წარმოჩენა, თავისი მრავალფეროვნებისა და სირთულის გამო, მნიშვნელოვანია მხატვრული ლიტერატურისათვის, რადგან ,,პიროვ-ნება არის უპირატესად ზნეობრივი კატეგორია, რომლის საფუძველზეც დგინდება მიმართება ყოველგვარ ღირებულებასთან“ [ბერდიაევი, 2010:93].

პიროვნული არსი საკუთარ ღირებულებათა ორიენტირის გააზრება-შეცნობისა და ქცევის ურთიერთმიმართების შედეგად წარმოჩნდება. როდესაც ინდივიდის რეალური ბუნება და საზოგადოებრივი იმიჯი არ შეესაბამება ერთმანეთს, იწყება არაჯანსაღი შინაგანი გაორება; ადამიანი კარგავს ღირსებას და ხდება საკუთარი ნიღბის ტყვე. ეს რთული პროცესი მეტად საინტერესოდაა წარმოჩენილი ვაჟა-ფშაველას პოემაში ,,ახუნდი“.

პიროვნებასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს ხშირად აანალიზებს მწერალი თავის შემოქმედებაში. პიროვნების ფერიცვალების შესახებ ვაჟა-ფშაველა საუბრობს ისეთ ეპიკურ ქმნილებებში, როგორებიცაა: ,,ალუდა ქეთელაური“, ,,გოგოთურ და აფში-ნა“, ,,გველისმჭამელი“, ,,სტუმარ- მასპინძელი“... ,,ვაჟა-ფშაველას პოემებში სხვადასხვა პრობლემატიკით, თვალსაზრისითა და მასშტაბით არის გამოხატული ადამიანის (თუ სხვა რომელიმე არსის) გარდაქმნა-ფერიცვალების აქტი. სხვადასხვა შინაგან თუ გარეგან მიზეზთა და გარემოებათა გამო ფერისცვალებას ესწრაფვიან, ფერს იცვლიან ან ძირფეს-ვიანად გარდაიქმნებიან: აფშინა, ალუდა, ბეღელა, ლუხუმის გველი, ჯოყოლა-აღაზა-ზვიადაური და ბოლოს გველისმჭამელი მინდია“ [ჩხენკელი, 1989:174], თუმცა ,,ახუნდში“ აღწერილი პიროვნული ტრანფორმაცია საპირისპირო შინაარსისაა. ახუნდი თავად ატარებს ორ სახეს, ერთს გამოგონილს, მეორეს-ნამდვილს. ამასთანავე, გარდაქმნა გააზრებულია და წინასწარ გათვლილი.

ახუნდის მხატვრული სახე წარმოადგენს იუნგისეული ,,პერსონის“ [იუნგი, 2026]ლიტერატურულ ანალოგს. საზოგადოების კეთილგანწყობილება აძლიერებს მის ფასადურ თვითმყოფადობას, თუმცა მისი არქეტიპული ,,ჩრდილი“ [იუნგი, 2026] მაინც გამოაშკარავდება.

ახუნდმა საზოგადოებისთვის ნიღაბი მოირგო. დღისით თითქოს ქველმოქმედებ-და და სხვებსაც სიკეთისკენ მოუწოდებდა, ღამით კი ყველას ძარცვავდა. მისი მოჩვენე-ბითი სიკეთე არამიწიერია. სულიერ-უსულოზე თანაბრად მზრუნველი, სხვებს უგულობისთვის ტუქსავდა.

,,ბრიყვნო,უღვთონო,ცოდვილნო!–/უკიჟინებდაგროვასა:

–თავ-აღებულნი რომ გარბით,/წინ დაიხედეთ ცოტასა;

აქ რომ ჭინჭველა მიცოცავს, / ფეხით რად სთელავთ იმასა?

ნეტავ სით დაემალებით / იმ სატანჯელსა ღვთისასა?!“ [ვაჟა-ფშაველა, 2026].

ახუნდი ღამით სხვა ადამიანად გარდაიქმნებოდა. მოლას ტანსაცმელს იხდიდა და დაუნდობლად ძარცვავდა ყველას. ნამუსი არც მაშინ აწუხებდა, როცა მის ნაცვლად უდანაშაულოებს სჯიდნენ.

ახუნდის თვითაღქმა მის სოციალურ მდგომარეობასა და რელიგიურ სტატუსს ეყრდნობა. საზოგადოებაში შექმნილი იმიჯი მას უქმნის ილუზიას, რომ მორალურადაც სრულყოფილია, ამიტომ მას არ აქვს სიღრმისეული ჭვრეტის უნარი.

საინტერესოა ისიც, რომ მიუხედავად რამდენიმე მომჩივანის ჩვენებისა, მეფე ვერ იჯერებს ახუნდის მზაკვრობას და წინააღმდეგობაში ვარდება, რადგან, ერთი მხრივ, სამეფოს რეპუტაცია და წმინდანის ხელშეუხებლობა აფიქრებს, მეორე მხრივ, ხალხის უკმაყოფილება და ვაზირის, ჰუსეინის, რჩევა. საბოლოოდ გადაწყვეტს, სიმართლე გაარკვიოს და გააჩხრეკინოს ახუნდის სახლი.

მომხვეჭელობის სენით შეპყრობილი ახუნდისთვის ნაძარცვი ნივთები მხოლოდ სიმდიდრე არ არის. ხოლო მომდევნო დანაშაულის ჩადენამდე ნაძარცვის მოალერსება, ერთგვარ მედიტაციურ-საკრალურ რიტუალს ჰგავს, რომელიც მას შინაგან კმაყოფილე-ბას უმძაფრებს და ახალი თავდასხმისკენ უბიძგებს.

,,მას ზნედა სჭირდა ერთი რამ: / ვიდრე სადავლოდ გასწევდა,

ინახულებდა სალაროს, / ნივთებს სწმენდდა და არხევდა,

ზოგს აკოცებდა, სხვას, ჰზომდა / ზოგს ორის ხელით ასწევდა “ [ვაჟა-ფშაველა, 2026].

ხალხი მართლაც მიიჭრება ახუნდის სახლში და დარწმუნდება მომჩივანთა სიმართლეში, თუმცა მაშინაც კი, როცა ფაქტზე ამხელენ, ფარისეველი მოლა ცდილობს თავი დაიძვრინოს.

საკუთარი იდენტობის შეცნობა ახუნდს არ შეუძლია, რადგან ამისათვის მან ჯერ უნდა იგრძნოს, შემდეგ აღიაროს დანაშაული, შეაფასოს თავისი ქმედება და შეეცადოს ახალი ცოდნის რეალიზებას, მაგრამ ახუნდი შეგნებული თვალთმაქცია.

მისი მხილების შემდეგ ახალი პრობლემა იჩენს თავს. იკვეთება წინააღმდეგობ-რივი მორალური და ფსიქოლოგიური გაუცხოება, უნდობლობა საზოგადოებასა და სოციალური ფენის

ყველაზე შეუბღალავ ფენას, სასულიერო ხელისუფლებას შორის. ადამიანებს უჭირთ იმის დაჯერება, რომ მათი სულიერი მოძღვარი მძარცველი და მოღალატეა. ღირებულებითი ორიენტაციის ასეთი სიმდაბლე ადამიანებს ანადგურებს. საზოგადოებაზე ამ ფაქტის გავლენის ხარისხის შეფასებისას, მეფის ერთგული ვეზირი, ჰუსეინი, აღნიშნავს:

,,ახუნდი დიდხანს ჩვენს ერსა/ გზას დაუბნელებს სავალსა,
ფურთხს და ლაფს მიაყრევინებს/ ჭეშმარიტთ წმინდანთ ნავალსა.
კარგა ხანს უნდა დამუნჯდეს/ მართალთა კაცთა ენაო,
რა უკუაგდებს მათ ნათქვამს/ერის დამდგარი სმენაო“ [ვაჟა-ფშაველა, 2026].

და კიდევ:

,,მან ერის გულიც გაცარცვა,/ჭკვას ჩაუტეხა ხიდია...“ [ვაჟა-ფშაველა, 2026].

ახუნდის სოციალური იდენტობა მკაცრად ჩამოყალიბებული ინსტუტიციური ძალაუფლების ქვეშაა მოქცეული. იგი არ არის თემის რიგითი წევრი. უფრო მეტიც. ის მოლაა. მას გავლენიანი საზოგადოებრივი მდგომარეობა უჭირავს. ის გვევლინება შუამავლად საღვთო კანონსა და მიწიერ საზოგადოებას შორის.

ვაჟა-ფშაველა თავიდანვე მიჯნავს მას დანარჩენთაგან, რელიგიური წოდება მას უზენაესობის, ხელშეუხებლობისა და ნდობის უფლებამოსილებას ანიჭებს. მისი სიტყვა და აზრი რელიგიურ დოგმას უთანაბრდება. მისი ავტორიტეტი ემყარება არა მხოლოდ რელიგიურ იმიჯს, არამედ მის მიერ წარმოებულ რიტორიკას-ქადაგებას ქვრივ-ობოლთა დახმარების შესახებ. აქამდე ახუნდის ყოველი სიტყვა საზოგადოებისთვის ღვთის გზავნილი იყო მოლას ენით გახმოვანებული. საზოგადოებას სჭირდება ხილული საყრდენი, რომელიც მას შიშს გადაალახვინებს და არა ფარისეველი წინამძღოლი.

ისიც თვალსაჩინოა, რომ ახუნდის გარეგნული სიწმინდე გაზვიადებული და საზოგადოების მიერ ხელოვნურად შექმნილია. ვაჟა-ფშაველა გროტესკულად აღწერს მის გარეგნულ იერსა და ქცევას.

,,თითონ ფეხთ ეჟვნები ება,/ იარებოდა დინჯადა,/რომ მწერთა ცოდვა და სისხლი
წმინდანს არ ეღო კისრადა “ [ვაჟა-ფშაველა, 2026].

ეს თეატრალური, არტისტული ქცევა ფსიქოლოგიური იარაღია ადამიანების დასაბრმავებლად და ნდობის მოსაპოვებლად.

ფასადური კეთილშობილება ახუნდისთვის არის არა სულიერი მოთხოვნილება, არამედ მიზანმიმართული ნიღაბი, კარლ იუნგისეული ,,პერსონა“, რომელიც სჭირდება ნამდვილი არსის დასაფარად. ასეთი იმიჯის შექმნა ემსახურება სოციალური ეჭვის გაბათილებას. მისი აბსურდული გარეგნული სიფრთხილე, მის მიმართ საზოგადოების ნდობას ზრდის.

პოემის საინტერესო ადგილია საძარცვავად მიმავალი ახუნდის ტანისამოსის გამო-ცვლა. საღამოს პერსონაჟი იცვლის რელიგიურ სამოსს და იცვამს საბრძოლო აღჭურვი-ლობას, რაც მისი პიროვნული იდენტობის დამატებითი ნიშანია. რელიგიური სამოსის გახდა უნდა

გულისხმობდეს მის დროებით გასვლას საზოგადოებრივი წესრიგის, ოფიციალური მოვალეობებისა და ეთიკურ-მორალური სივრციდან. აბჯრის ჩაცმა კი უნდა ნიშნავდეს მისი იდენტობის ტრანსფორმაციას.

კარლ გუსტავ იუნგის ანალიზს თუ დავუკავშირებთ [კარლ გუსტავ იუნგი, 2026], ახუნდის ახალი ყოფიერება უნდა აღნიშნავდეს მისი ,,ჩრდილის“, ანუ ბნელი, დაფარუ-ლი ნაწილის გამოღვიძებას, რომელსაც იგი დღისით, თავისი სოციალური სტატუსის გამო, საგულდაგულოდ მალავდა.

დღის განმავლობაში შენიღბული დათრგუნული ვნებები ღამით იღვიძებენ. სიბნე-ლე ის ფონია, სადაც ბოროტი ზრახვები აქტიურდება. ახუნდი გარდაიქმნება ბოროტ ძალად, რომელიც ყოველგავრ კონტროლს კარგავს და ირგვლივ ყველაფერს ანადგურებს. რაც უფრო ხელოვნურია გარეგნული სიწმინდე, მით უფრო აგრესიულია სულის ბნელ კუნჭულში დამალული ჩრდილი, ამიტომაც თავისუფლების ფარგლებში იგი უკონტროლო ხდება.

მწერალი გვიჩვენებს, რომ ორმაგი ეთიკურ-მორალური ნორმებით ცხოვრება და საკუთარი თავის მოტყუება, ადამიანს სულიერი განწმენდის შესაძლებლობას უსპობს. ახუნდი საკუთარი გაორების ტყვედ რჩება და სულიერად კვდება.

მწერალი გვიჩვენებს, რომ როდესაც ადამიანი რელიგიურ და მორალურ წესებს მხოლოდ ნიღბად იყენებს, საკუთარი ბნელი აზრების დამალვით გართული, კარგავს ადამიანურ სახეს. დანაშაული ადრე თუ გვიან გამომზეურდება და გამოგონილი ,,წმინდანის“ რეპუტაცია შეილახება. ორმაგი ბუნება, რომელიც სხვების უბედურებასა და სიცრუეს ეყრდნობა, ვერ იქნება ხანგრძლივი.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შეფასებისას აღნიშნავენ, რომ მასში იგრძნობა სევდიანობა. ,,ვაჟას შემოქმედებაში წარმოდგენილი ნაღვლიანი ტონი ასახავს არსებულით უკმარობის იმ გრძნობას, რომელიც პოეტისთვის იყო დამახასიათებელი“ [კიკნაძე, 1989:26]. ეს გრძნობა კი ადამიანთა უგულობით, გაუტანლობოით, მტაცებლური ბუნებით იყო აღმოცენებული.

მწერალს მკაცრი განაჩენი გამოაქვს თვალთმაქცური და რელიგიური ფარისევლობისათვის. გარგნული სიკეთე და შინაგანი სიბინძურე ვერასოდეს იარსებებს ერთად. ასეთი კონტრასტი ყოველთვის პიროვნების ტოტალური მარცხით სრულდება, როგორც ეს მოხდა ახუნდის შემთხვევაში.

ლიტერატურა:

1. კიკნაძე, გრ., -ვაჟა-ფშაველას შემოქმედება. თბილისი: ,,თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.1989. 26 გვ.
2. ჩხენკელი, თ., მშვენიერი მძლევარი. თბილისი: ,,თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“. 1989. 174 გვ.

3. Бердяев, Н., О Назначении Человека (Опыт парадоксальной этики), Москва: издательство ,,Астрель". 2010. стр. 93.

სასარგებლო ბმულები:

1. ვაჟა-ფშაველა, ახუნდი https://tagiweb.wordpress.com/2012/02/27/akhundi/ 2.09.2026
2. კარლ გუსტავ იუნგი https://storage.ning.com/topology/rest/1.0/file/get/2063882445?profile=original 11.10.2026.
3. კარლ გუსტავ იუნგი https://jungpage.org/learn/jung-lexicon#persona 3.11.2026
4. კარლ გუსტავ იუნგი https://jungpage.org/learn/jung-lexicon#shadow 3.11.2026

Nana Kupradze
University of Georgia
Tbilisi, Georgia
e-mail: n.kupradze@ug.edu.ge
ORCID: 0009-0002-0913-3734
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.14
SJIF 2026: 8.679

The Deformation of Personal Identity and Moral Duality in Vazha-Pshavela's "Akhundi"

Abstract

In this paper, Vazha-Pshavela's poem "Akhundi" is examined through the lens of the deformation of personal identity and moral duality. We have sought to present the clash between the human inner world and value conflict, which goes beyond a mere description of the protagonist's psychological state and directly merges with Vazha-Pshavela's philosophical and ideological concerns.

The main part of the article presents the collapse of human essence in Akhundi, a figure possessing a public image and religious authority. We aimed to demonstrate the incompatibility between the persona crafted for society and the character's internal aspirations.

In the poem, the character's disregard for religious dogmas and his transformation into a bandit leads to the tarnishing of his reputation and the disappearance of the ideal of sanctity. This moral and ethical degradation disrupts the hero's personal integrity and results in spiritual defeat. At the same time, while reading the work, it is palpable that wearing such a dual face—putting on mutually exclusive masks—is entirely natural to him.

An analysis of Vazha-Pshavela's perspective reveals that the grotesque employed in the text is of a broader, generalized nature, as it depicts not only a specific character but also the archetypes of false authorities existing within society.

The article examines the layers of identity crisis, in which hypocrisy is presented as the primary manifestation of the breakdown of personal identity. The writer's artistic objective relies on sharp irony and a satirical vision, which simultaneously exposes the discrepancy between the character's facade of nobility and his inner world. The final part of the poem summarizes the destructive consequences of the dichotomy existing within the hero's character.

In this paper, we have endeavored to show that Vazha-Pshavela's poem "Akhundi" is significant in terms of studying human nature, as it presents a highly complex picture of human duality—a particularly topical issue in contemporary literary discourse.

Keywords: Vazha-Pshavela, poem "Akhundi", personal identity, moral duality

რეცენზენტი: პროფესორი თამარ ახვლედიანი

.